



წინასიტყვაობა

1. **შემუშავებულია** – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის იურიდიული განყოფილების უფროსის გიორგი დიასამიძის მიერ;
2. **დამტკიცებულია** – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის მიერ (2019 წლის 27 მარტის სენატის სხდომა, ოქმი N07; გენერალური დირექტორის 2019 წლის 27 მარტის ბრძანება N52);
3. **მოქმედებაშია** – დამტკიცებისა და შეთანხმების დღიდან;
4. **პერიოდული შემოწმება** – წარმოებს შემუშავებლის მხრიდან არა უმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. **ცვლილებები და განახლება** – ცვლილებათა შეტანა და/ან განახლება წარმოებს წარმოქმნილ ცვლილებებთან თავსებადობაში მოყვანის შედეგად.



შინაარსი

1. გავრცელების სფერო	5
2. მითითებები.....	5
3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები.....	5
4. ზოგადი დებულება.....	6
5. ეთიკის კოდექსის მიზნები, ამოცანები, სტანდარტები, ღირებულებები და ნორმები	6
6. ბუსსს ანრის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ეთიკის ნორმები	7
7. ბუსსს ანრის აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლის ეთიკის ნორმები	8
8. ბუსსს ანრის სტუდენტის, პროფესიული სტუდენტის, მსმენელის ეთიკის ნორმები	10
9. პასუხისმგებლობა სტუდენტის, პროფესიული სტუდენტის, მსმენელის მიერ ეთიკის ნორმების დარღვევისათვის	11
10. აკადემიური ეთიკის დარღვევა	14
11. პლაგიატის აღმოჩენა	15
12. პასუხისმგებლობა აკადემიური ეთიკის დარღვევისათვის	16
13. კონფიდენციალურობა.....	18
14. პერიოდული შემოწმების ფურცელი	19
15. გაცნობის ფურცელი.....	20
16. შეთანხმების ფურცელი.....	22



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ეთიკის კოდექსი Code of Ethics

1. გავრცელების სფერო

- 1.1 წინამდებარე დებულება ითვლება ნორმატიულ დოკუმენტად შპს ბუსსს ანრის მთელი პერსონალის, უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისა და საწვრთნელი კურსების მსმენელებისათვის და წარმოადგენს შპს ბუსსს ანრის ეთიკის კოდექსს;
- 1.2 არსებული დებულება ინახება შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახურში. ელექტრონული ვერსია განთავსებულია სასწავლებლის შიდა ქსელში და ვებ-გვერდზე.
- 1.3 დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლარის დაგზავნას აწარმოებს ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახური შიდა ქსელში განთავსებით.


2. მითითებები

წინამდებარე დებულების მომზადებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები:

1. სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
2. სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
3. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;
4. საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“;
5. უსდ-ს და პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტები;
6. ნდ N 2-010101 შპს ბუსსს ანრის წესდება;
7. ნდ N 2-010102 შპს ბუსსს ანრის შინაგანაწესი;
8. ნდ N 2-020101 შპს ბუსსს ანრის ხარისხის სახელმძღვანელო

3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

1. **სტუდენტი** – პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონითა და შპს ბუსსს ანრის წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა(ებ)ზე;
2. **პროფესიული სტუდენტი** - პირი, რომელიც „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამა(ებ)ზე;
3. **მსმენელი** - მოკლევადიან, საწვრთნელ კურსებზე ჩარიცხული პირი;
4. **აკადემიური პერსონალი** – პროფესორების ერთობლიობა - პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი;
5. **პროფესიული სტუდენტი** -პირი, რომელიც „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამა(ებ)ის გასავლელად;
6. **პროფესორი** –აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
7. **ასოცირებული პროფესორი** –აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
8. **ასისტენტ-პროფესორი** –აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში;
9. **მოწვეული მასწავლებელი** – უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელიც აირჩევა/ინიშნება სენატის მიერ დადგენილი წესით, სასწავლო განყოფილების მიერ გამოცხადებულ სასწავლო კურსებზე (საათობრივი ანაზრაურებით, ხელშეკრულების საფუძველზე). მოწვეულმა



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**ეთიკის კოდექსი
Code of Ethics**

მასწავლებელმა შეიძლება დაიკავოს მასწავლებლის, ან უფროსი მასწავლებელი პოზიცია მიღებული განათლების, გამოცდილებისა და დამსახურების შესაბამისად.

10. **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება** (ტექსტი - უსდ) – სასწავლო- დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას (პროგრამებს). რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზება, რომელიც შედგება ძირითადი საგანმანათლებლო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან და ანიჭებს შესაბამის აკადემიურ ხარისხს;
11. **სენატი** – შპს ბუსსს ანრის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;
12. **პერსონალი** - სამტატო ნუსხით და ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით
13. გათვალისწინებული თანამდებობის პირები.
14. **ადმინისტრაციული პერსონალი** - რექტორი, რექტორის მოადგილე, სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და განყოფილების უფროსი.
15. **დამხმარე პერსონალი** - სამტატო ნუსხით განსაზღვრული დამხმარე სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები, მათ შორის, ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები

შემოკლებები:

1. **შპს ბუსსს ანრი (ტექსტი სასწავლებელი)** – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი;
2. **ISO** – სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
3. **ხმს** – ხარისხის მართვის სისტემა;
4. **ხარისხის სამსახური** – შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახური

4. ზოგადი დებულება

4.1 შპს ბუსსს ანრის ეთიკის კოდექსით განისაზღვრება სასწავლებლის თანამშრომლებისა და სტუდენტების/მსმენელების ქცევის სავალდებულო ნორმები, მოცემული ნორმების დარღვევის გამო გადაცდომის პირობები, ფარგლები და დისციპლინური წარმოების პროცედურები.


4.2 სასწავლო დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალისა და სტუდენტებისათვის ეთიკის კოდექსის ხელმისაწვდომობას, პერსონალი და სტუდენტი ვალდებულია, პერიოდულად გაეცნოს ეთიკის კოდექსსა და არსებობის შემთხვევაში, მასში განხორციელებულ ცვლილებებს.

4.3 სასწავლებლის საქმიანობა ეფუძნება შემდეგ ღირებულებას:

- ✓ მაღალ ხარისხს - სწავლების, სწავლის და სასწავლებლის ადმინისტრაციული საქმიანობის სფეროებში;
- ✓ აკადემიურ და ინტელექტუალურ თავისუფლებას - ერთ-ერთი მთავარი ღირებულება, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს დაინტერესებულ პირებს სწავლისა და სწავლების პროცესში, ამასთანავე, უზრუნველყოს აზრის გამოხატვის თავისუფლება და კრიტიკული აზროვნების განვითარება;
- ✓ სამართლიანობას - პიროვნების პატივისცემა და მისდამი სამართლიანი და მიუკერძოებელი მოპყრობა. სამართლიანობის პრინციპი საფუძვლად უდევს სასწავლებელში არსებულ სტანდარტებს და პროცედურებს სტუდენტებთან დაპერსონალთან მიმართებაში;
- ✓ ანგარიშვალდებულებას - მინიჭებული უფლებებისა და დაკისრებული მოვალეობების სრულფასოვანი განხორციელება;
- ✓ კეთილსინდისიერებას - თითოეული დასაქმებულის მიერ საკუთარი უფლება-მოვალეობის პირნათლად და გულისხმიერად შესრულება.

5. ეთიკის კოდექსის მიზნები, ამოცანები, სტანდარტები, ღირებულებები და ნორმები

1. **ეთიკის კოდექსის მიზანია** ჩამოაყალიბოს და დაამკვიდროს პრინციპები, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედონ სასწავლებლის თანამშრომლებმა და სტუდენტებმა.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ეთიკის კოდექსი Code of Ethics

ეთიკის კოდექსი არ მოიცავს ყველა შესაძლო ეთიკურ პრობლემას. მისი მიზანია, თანამშრომლებსა და სტუდენტებს მიაწოდოს ის სახელმძღვანელო პრინციპები, რომელთა მეშვეობითაც ისინი შეძლებენ იმოქმედონ ეთიკური სტანდარტებისა და წესების შესაბამისად.

2. ეთიკის კოდექსის ამოცანებია:

- 1) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;
- 2) კოლეგიალური და ლოიალური გარემოს ფორმირება და დამკვიდრება;
- 3) თანამშრომლებს, სტუდენტებსა და სასწავლებელში მოღვაწე პირებს შორის კომუნიკაციური ბარიერების დაძლევა;
- 4) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება და ინტერესებული პირებისათვის;
- 5) ურთიერთპატივისცემის წახალისება;
- 6) პასუხისმგებლობის ამაღლება;
- 7) სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი პროფესიონალი კადრების მომზადება.

3. ეთიკის კოდექსის სტანდარტები, ღირებულებები და ნორმები:

წინამდებარე კოდექსი ადგენს სასწავლებლის თანამშრომლების და სტუდენტების ეთიკის საელტო წესებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა.

ეთიკის საერთო წესების დარღვევად მიიჩნევა სასწავლებლის ტერიტორიაზე განხორციელებული შემდეგი ქმედებები:


- 1) ხელის შეშლა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის;
- 2) სასწავლებლის ქონების დაზიანება, არამიზნობრივად გამოყენება, ტერიტორიის დანაგვიანება, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევა;
- 3) სასწავლებელში დაწესებული უნიფორმის ტარების წესების დარღვევა;
- 4) თამბაქოს მოწევა შენობაში ან საამისოდ ნებადართული ტერიტორიის მიღმა;
- 5) ალკოჰოლური სასმელების შეტანა, გავრცელება ან/და მოხმარება, გარდა ადმინისტრაციის მიერ ნებადართული შემთხვევებისა;
- 6) აზარტული თამაშების ორგანიზება და/ან მათში მონაწილეობის მიღება;
- 7) შეურაცხოვის მიყენება სხვა პირისათვის, ბილწისიტყვაობა;
- 8) ნებისმიერი პირის დისკრიმინაცია.

6. ბუსსს ანრის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ეთიკის ნორმები

ბუსსს ანრის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი (შემდეგში პერსონალი) ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას სასწავლებლის, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებისადმი, შექმნას სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისთვის აცილებელი გარემო, უნდა უფრთხილდებოდეს სასწავლებლის სახელს და მის შენობაში, თუ გარეთ, იქცეოდეს სასწავლებლის ავტორიტეტისა და დაკავებული თანამდებობის შესაფერისად. პერსონალის საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს ეთიკის, ზნეობისა და მორალის მაღალ სტანდარტებს, კეთილსინდისიერებასა და პატიოსნებას. უნდა გამორიცხავდეს თანამშრომლებისა და სტუდენტების დისკრიმინაციას.

✓ სასწავლებლის პერსონალი ვალდებულია:

- 1) საკუთარი წვლილი შეიტანოს სასწავლებლის განვითარებაში;
- 2) შექმნას არადისკრიმინაციული გარემო სასწავლებლის პერსონალისა და სტუდენტებისთვის;



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**ეთიკის კოდექსი
Code of Ethics**


- 3) არ დაუშვას და თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები;
- 4) შექმნას სწავლა/სწავლებისათვის ხელსაყრელი პირობები და გარემო;
- 5) გონივრულად და კეთილსინდისიერად გამოიყენოს სამშაო დრო;
- 6) ეფექტიანად და მიზნობრივად გამოიყენოს სასწავლებლის კუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები;
- 7) არ გაამჟღავნოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია;
- 8) პატივისცემით მოეპყრას სასწავლებელში დასაქმებულ პირებს, მიუხედავად მათი პროფესიული გამოცდილებისა და პიროვნული თავისებურებებისა;
- 9) ხელი შეუწყოს კოლეგებს შორის ურთიერთნდობის ჩამოყალიბებას და აირიდოს პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების გაღვივება;
- 10) არ დაუშვას კოლეგის დამცირება, შეურაცხყოფა, ან ანონიმურად დადანაშაულება;
- 11) იმოქმედოს კოლეგიალობის, პროფესიული სოლიდარობისა და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნისათვის აუცილებელი სხვა პრინციპებისა და ნორმების დაცვით;
- 12) არ მიიღოს სტუდენტისგან ან სხვა დაინტერესებული პირისგან საჩუქარი (ქრთამი);
- 13) სამუშაო საათებში ატაროს სასწავლებელში დაწესებული უნიფორმა.

პერსონალის მიერ დადგენილი ეთიკის ნორმების დარღვევის პირველ შემთხვევაში შემოიფარგლება ზეპირი შენიშვნით; იგივე ქმედების 1 წლის განმავლობაში ჩადენის შემთხვევაში - საყვედური პირად საქმეში შეტანით; მესამე შემთხვევაში - შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა.

7. ბუსსს ანრის აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლის ეთიკის ნორმები

აკადემიური პერსონალისა (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი) და მასწავლებლის (კოლეჯის და მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის მასწავლებელი, ინსტრუქტორი) ძირითადი მოვალეობაა:


- 1) თავისი ფუნქცია-მოვალეობები შეასრულოს მაღალ ეთიკურ და ზნეობრივი ნორმების დაცვით;
- 2) ჩამოაყალიბოს მაღალი პროფესიული დონის სპეციალისტი, ხელი შეუწყოს მასში შრომისმოყვარეობის, საზოგადოების დანარჩენ წევრთა პატივისცემისა და კანონმორჩილების თვისებების გამომუშავებას;
- 3) პროფესიული ვალდებულების შესრულებისას იყოს დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი;
- 4) პროფესიული საქმიანობისას სტუდენტებს მისცეს სამართლიანობის, ურთიერთპატივისცემის, ადამიანის უფლებების დაცვის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და გარემოს დაცვის მაგალითი;
- 5) სასწავლო პროცესი წარმართოს სასწავლებლის მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმის მიხედვით;
- 6) დარგის, შესაბამის სფეროში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად გაანახლოს სასწავლო, მოსამზადებელი კურსის თემატიკა და სტრუქტურა, მუდმივად სრულყოფდეს მისი წარმართვის მეთოდოლოგია; პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული ფუნქციების კომპეტენტურად შესრულებაზე და მუდმივად ზრუნავს ცოდნის განახლებასა და გაღრმავებაზე;
- 7) სტუდენტებს უწევს ინტელექტუალურ და აკადემიურ ხელმძღვანელობას სასწავლებლის მიერ დადგენილი საკონსულტაციო განრიგის შესაბამისად (პედაგოგის დატვირთვის ნაწილი), ასევე დამატებით, სტუდენტის საჭიროების გათვალისწინებით; ეხმარება სტუდენტს სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გადალახვასა და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაში;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ეთიკის კოდექსი Code of Ethics

- 8) ლექციაზე შედის დროულად, სათანადოდ მომზადებული და ორგანიზებული, არ უშვებს ლექციის განსაზღვრულ დრომდე დასრულების ან/და არასაკმარის მიზეზით გაცდენის შემთხვევებს; ეფექტურად იყენებს სწავლებისათვის/მომზადებისთვის განკუთვნილ დროს სასწავლო, მოსამზადებელი პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად;
- 9) დანიშნულ დროს, დადგენილი წესის შესაბამისად ატარებს გამოცდას და აფასებს ყველა გამოცხადებული სტუდენტის ცოდნას;
- 10) ემნის პირობებს გამჭვირვალე აკადემიური გარემოს შესაქმნელად, სტუდენტებს აწვდის ამომწურავ ინფორმაციას შეფასების სისტემის შესახებ; შეიმუშავებს და ნერგავს სწავლებისა და შეფასების ისეთ მეთოდებს, რაც გამორიცხავს პლაგიატს;
- 11) აღიარებს და იცავს ინტელექტუალურ საკუთრებას, მათ საავტორო უფლებებს;
- 12) იცავს კონფიდენციალობას მსმენელების, კოლეგებისა თუ სწავლების, მომზადების პროცესში ჩართული სხვა პირების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 13) იჩენს თანაბარ (არაფამილიარულ) ყურადღებას ყველა სტუდენტის მიმართ განურჩევლად სქესის, რასის, ენის, რელიგიის, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის ან სხვა ნიშნისა; ზრუნავს, რომ ყველა სტუდენტმა მიიღოს ხარისხიანი განათლება, მიუხედავად მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობისა;
- 14) პატივს სცემს სტუდენტთა აზრებს, უქმნის მათ ყველა პირობას იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოსახატავად; ხელს უწყობს განსხვავებული აზრის პატივისცემის კულტურის დამკვიდრებას;
- 15) თავისუფალია რელიგიური მრწამსის არჩევაში, ამავე დროს პატივს სცემს განსხვავებულ შეხედულებებს; არ ეწევა სტუდენტებთან რელიგიურ და პოლიტიკურ პროპაგანდას;
- 16) არ იყენებს პროფესიულ ან ინსტიტუციურ პრივილეგიებს პირადი მიზნებისათვის;
- 17) არ იღებს სტუდენტისაგან საჩუქარს ან სხვა სახის სარგებელს მაღალი შეფასებისა თუ მისთვის სხვა უპირატესობის მინიჭების სანაცვლოდ;
- 18) არ იყენებს სტუდენტის ფიზიკურ და ინტელექტუალურ შრომას ან პოტენციალს პირადი მიზნებისათვის;
- 19) არ აყენებს სტუდენტს რაიმე სახის შეურაცხყოფას; მათთან ურთიერთობისას იცავს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ნორმებს;
- 20) ინარჩუნებს სიმშვიდეს კონფლიქტურ სიტუაციებში, ისმენს სტუდენტთა აზრს და იღებს ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებებს;
- 21) მეტყველებს სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით;
- 22) უფრთხილდება სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, იყენებს დანიშნულებისამებრ და გამორიცხავს რესურსების გამოყენებას თვითნებურად, პირადი მიზნებისათვის;
- 23) უფრთხილდება სასწავლებლის რეპუტაციასა და პრესტიჟს;
- 24) სასწავლებლის სახელით საჯარო განცხადების/კომენტარის გაკეთების შემთხვევაში იცავს ეთიკის კოდექსსა და სხვა პირთა უფლებებს. თუ განცხადება/კომენტარი არ არის დაკავშირებული პროფესიულ საქმიანობასთან, სავალდებულოდ აღნიშნავს, რომ განცხადება/კომენტარი გამოხატავს მის პირად პოზიციას;
- 25) სტუდენტებთან ურთიერთობას წარმართავს ისეთი ფორმით, რაც საფრთხეს არ უქმნის პედაგოგის მიერ სტუდენტის სწავლის შედეგის ობიექტურ და სამართლიან შეფასებას.
- 26) გამოავლენს აკადემიური არაკეთილსინდისიერების (სიყალბის/პლაგიატის) შემთხვევას (არსებობის შემთხვევაში) კომპეტენციის ფარგლებში იკვლევს გამომწვევ მიზეზს და იღებს შესაბამის ზომებს მსგავსი ქმედებების აღსაკვეთად.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ეთიკის კოდექსი Code of Ethics

- 27) ვალდებულია ხელი შეუწყოს ბუქსს ანრის საქმიანობის განვითარებასა და პოპულარიზაციას, კოლეგებთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან კეთილგანწყობილი ურთიერთობების დამკვიდრებას, ამისათვის:
- ✓ აქტიურად მონაწილეობს სასწავლებლის საზოგადოებრივ საქმიანობაში;
 - ✓ არ ერთვება ისეთ საქმიანობაში, რაც ხელს შეუშლის სასწავლებლის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებას;
 - ✓ პატივისცემით ეპყრობა დამხმარე პერსონალს და დაწესებულებაში დასაქმებულ სხვა პირებს, მიუხედავად მათი პროფესიული გამოცდილებისა და პიროვნული თავისებურებებისა;
 - ✓ ხელს უწყობს კოლეგებს შორის ურთიერთნდობის ჩამოყალიბებას და თავს არიდებს პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების გაღვივებას;
 - ✓ კოლეგის მიერ გამოყენებული სწავლის მეთოდების შეფასებისას არის კორექტული;
 - ✓ გამორიცხავს კოლეგის დამცირებას, შეურაცხყოფას, ან ანონიმურად დადანაშაულებას;
 - ✓ მოქმედებს კოლეგიალობის, პროფესიული სოლიდარობისა და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნისათვის აუცილებელი სხვა პრინციპებისა და ნორმების დაცვით


სასწავლებლის ეთიკის კოდექსის უხემ დარღვევად ჩაითვლება აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლის შემდეგი ქმედება:

- 1) პლაგიატი;
- 2) სტუდენტის შესაძლებლობის პირადი სარგებლის მიზნით გამოყენება;
- 3) სტუდენტისგან სასწავლებელში დასაქმებულისგან ან სხვა დაინტერესებული პირისგან საჩუქრის/თანხის მიღება სარგებლის სანაცვლოდ ან პირიქით.

ბუქსს ანრის ეთიკის კოდექსის დარღვევის გამო აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლის პასუხისმგებლობის სახესა და ზომას კონკრეტული დარღვევის შინაარსის, ხასიათისა და გარემოების გათვალისწინებით, შინაგანაწესის საფუძველზე განსაზღვრავს სასწავლებლის ადმინისტრაცია.

8. ბუქსს ანრის სტუდენტის, პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის ეთიკის ნორმები

- 1) ეს კოდექსი ადგენს სტუდენტის, პროფესიული სტუდენტისა და მსმენელის ეთიკის საერთო წესებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა სასწავლებლის თითოეული სტუდენტის, პროფესიული სტუდენტისათვის და მსმენელისთვის.
- 2) ეთიკის საერთო წესების დარღვევად მიიჩნევა სასწავლებლის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ (თუ ქმედება განხორციელებულია სასწავლებლის ან სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების და მსმენელების მიერ ორგანიზებულ აკადემიურ ან სხვა ღონისძიებაზე) განხორციელებული შემდეგი ქმედებები:
 - ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა;
 - ბ) თამბაქოს/ელექტრო სიგარეტის მოწევა სასწავლებლის შენობაში ან საამისოდ ნებადართული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;
 - გ) ალკოჰოლური სასმელების შეტანა, გავრცელება ან/და მოხმარება სასწავლებლის ტერიტორიაზე, თუ ღონისძიება სპეციალურად არ არის ორგანიზებული ან ნებადართული სასწავლებლის მიერ;
 - დ) აზარტული თამაშების ორგანიზება ან მათში მონაწილეობის მიღება;
 - ე) სასწავლებლის ტერიტორიის დანაგვიანება;
 - ვ). სასწავლებლის სახელის, პატივის ან საქმიანი რეპუტაციას შელახვა, სასწავლებლის ქონების დაზიანება;
 - ზ) დემონსტრაციული ბილწისტიყვაობა;
 - თ) სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა პირისათვის;
 - ი) სხვა პირის მიმართ ძალადობა ან მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება;




**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**ეთიკის კოდექსი
Code of Ethics**

- კ) ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების შეტანა, გავრცელება ან/და გამოყენება;
- ლ) „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ცეცხლსასროლი/ცივი იარაღის შეტანა, გამოყენება, სხვისთვის გადაცემა;
- მ) ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შეტანა, გამოყენება, გავრცელება ან სხვისთვის გადაცემა, რომლებიც ხანძრის ან/და აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის;
- ნ) სხვა პირზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, მუქარა, დაშინება ან მორალური ზემოქმედება.
- ო) სხვა პირის დისკრიმინაცია (დისკრიმინაციად ითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.);
- პ) სხვა სტუდენტის, პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის საკუთრების ხელყოფა, დაზიანება ან განადგურება, ასევე, სხვა სტუდენტის ან მსმენელის საკუთრების უფლების რაიმე სახით შეზღუდვა, მათ შორის, ნივთის დაუფლება და ფაქტობრივი ფლობა მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, ნივთის მოტყუებით გამორთმევა ან გამოძალვა, ან ნივთის ბედის სხვაგვარი გადაწყვეტა, ასევე ზემოაღნიშნულ ქმედებათა მცდელობა, მათ შორის, ჩადენილი მოტყუებით ან მუქარით.
- ჟ) აკადემიური თაღლითობა (გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან, ან ნებისმიერი სახის წინასწარ მომზადებული დამხმარე მასალის, სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რომელიც არ არის ნებადართული, როგორც სასწავლებლის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ);
- რ) პლაგიატი (სრულად ან ნაწილობრივ სხვისი ნამუშევრის გადაწერა ავტორისა და წყაროს მითითების გარეშე; სხვა პირის წერილობითი აკადემიური ნაშრომის ან მისი ნაწილის საკუთრად გასაღება);
- ს) სხვა სტუდენტისათვის ან მსმენელისათვის ხელის შეშლა სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით; სხვა სტუდენტის ან მსმენელის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა;
- ტ) სხვა სტუდენტისათვის ან მსმენელისათვის აკადემიური თაღლითობის ჩადენაში ხელის შეწყობა;
- უ) კვლევითი სამუშაოების მონაცემებისა და შედეგების გაყალბება;
- ფ) ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად გასაღება;
- ქ) იდენტობის გაყალბების საშუალებით, სხვა პირთან გარიგება გამოცდის ჩაბარების მიზნით;
- ღ) საგამოცდო მასალების, მათ შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება, გავრცელება, ასევე ჩაბარებული წერილობითი ნამუშევრის უნებართვოდ ჩანაცვლება; ასევე, გამოცდის მიმდინარეობისას საგამოცდო დავალების ჩანაცვლება.
- ყ) სასწავლებლის მონაცემების (აკადემიური/ადმინისტრაციული) გაყალბება ან/და გამოყენება;
- შ) ლექტორზე, გამომცდელზე, სასწავლებლის თანამშრომელზე ზეწოლა შეფასების მიღების მიზნით;
- ც) სასწავლებელში წარსადგენი დოკუმენტის გაყალბება ან დოკუმენტების არასრულად წარდგენა.

9. პასუხისმგებლობა სტუდენტის, პროფესიული სტუდენტის, მსმენელის მიერ ეთიკის ნორმების დარღვევისათვის


- 1) ამ კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენის გამო სტუდენტის, პროფესიული სტუდენტის და მსმენელის პასუხისმგებლობის სახესა და ზომას კონკრეტული დარღვევის შინაარსის, ხასიათისა და გარემოებების გათვალისწინებით, განსაზღვრავს ეთიკის საბჭო.
- 2) ამ კოდექსის 8.2 (სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა), (დემონსტრაციული და უხეში ბილწისტიყვაობა) და (სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა პირისათვის) პუნქტებში აღნიშნული ქმედებების ჩადენისას ეთიკის საბჭო იღებს სტუდენტის, პროფესიულის სტუდენტის და მსმენელის წერილობითი გაფრთხილების გადაწყვეტილებას, რომელსაც გადასცემს სტუდენტთა, მსმენელთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილებას სტუდენტის, პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის შესახებ არსებულ აკადემიურ ჩანაწერებში (მსმენელის შემთხვევაში



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ეთიკის კოდექსი
Code of Ethics


- ჩანაწერის) რეგისტრაციის მიზნით. იგივე ქმედების 1 წლის განმეორების შემთხვევაში ან დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, ეთიკის საბჭო იღებს სტუდენტის, პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილებას.
- 3) ამ კოდექსის 8.2 პუნქტით (სასწავლებლის ტერიტორიის დანაგვიანება) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას სასწავლებლის ადმინისტრაცია აკისრებს ჯარიმას - 10 ლარის ოდენობით.
 - 4) ამ კოდექსის 8.2 პუნქტით (თამბაქოს/ელექტრო სიგარეტის მოწვევა სასწავლებლის შენობაში ან საამისოდ ნებადართული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას სასწავლებლის ადმინისტრაცია სტუდენტს, პროფესიულ სტუდენტს ან მსმენელს აკისრებს ჯარიმას - 50 ლარის ოდენობით. ასევე, სასწავლებლის ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სტუდენტის ან მსმენელის წერილობითი გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება, რომელსაც გადასცემს სტუდენტთა, მსმენელთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილებას სტუდენტის, პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის შესახებ არსებულ აკადემიურ ჩანაწერებში (მსმენელის შემთხვევაში ჩანაწერის) რეგისტრაციის მიზნით.
 - 5) ამ კოდექსის 8.2 პუნქტით (ალკოჰოლური სასმელების შეტანა, გავრცელება ან/და მოხმარება სასწავლებლის ტერიტორიაზე, თუ ღონისძიება სპეციალურად არ არის ორგანიზებული ან ნებადართული სასწავლებლის მიერ) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას სასწავლებლის ადმინისტრაცია სტუდენტს აკისრებს ჯარიმას - 50 ლარის ოდენობით. ასევე, სასწავლებლის ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სტუდენტის, პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის წერილობითი გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება, რომელსაც გადასცემს სტუდენტთა, მსმენელთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილებას სტუდენტის ან მსმენელის შესახებ არსებულ აკადემიურ ჩანაწერებში (მსმენელის შემთხვევაში ჩანაწერის) რეგისტრაციის მიზნით.
 - 6) ამ კოდექსის 8.2 პუნქტით (აზარტული თამაშების ორგანიზება ან მათში მონაწილეობის მიღება) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას სასწავლებლის ადმინისტრაცია სტუდენტს, პროფესიულ სტუდენტს ან მსმენელს აკისრებს ჯარიმას - 100 ლარის ოდენობით. ასევე, სასწავლებლის ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სტუდენტის, პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის წერილობითი გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება, რომელსაც გადასცემს სტუდენტთა, მსმენელთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილებას სტუდენტის ან მსმენელის შესახებ არსებულ აკადემიურ ჩანაწერებში (მსმენელის შემთხვევაში ჩანაწერის) რეგისტრაციის მიზნით.
 - 7) ამ კოდექსის 8.2 პუნქტით (სასწავლებლის სახელის, პატივის ან საქმიანი რეპუტაციას შელახვა, სასწავლებლის ქონების დაზიანება) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას სასწავლებლის ეთიკის საბჭო განსაზღვრავს და სტუდენტს აკისრებს მიყენებული ზიანის პროპორციულ ჯარიმას. ამასთან, სტუდენტი ვალდებულია სრულად აანაზღაუროს დაზიანებული საკუთრების ღირებულება. ასევე, სასწავლებლის ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სტუდენტის ან მსმენელის წერილობითი გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება, რომელსაც გადასცემს სტუდენტთა, მსმენელთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილებას სტუდენტის ან მსმენელის შესახებ არსებულ აკადემიურ ჩანაწერებში (მსმენელის შემთხვევაში ჩანაწერის) რეგისტრაციის მიზნით.
 - 8) ამ კოდექსის 8.2 პუნქტით (სხვა პირის მიმართ ძალადობა ან მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას: სასწავლებლის ადმინისტრაცია აღნიშნულ ფაქტს ატყობინებს პოლიციას და დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
 - ა) სტუდენტს, პროფესიულ სტუდენტს ან მსმენელს მისცეს წერილობითი გაფრთხილება;
 - ბ) სტუდენტს, პროფესიულ სტუდენტს ან მსმენელს დააკისროს ჯარიმა - 200 ლარამდე ოდენობით;
 - 9) ამ კოდექსის 8.2 (ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების შეტანა, გავრცელება ან/და გამოყენება), (ცეცხლსასროლი/ცივი იარაღის შეტანა, გამოყენება, სხვისთვის გადაცემა) და (ისეთი



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ეთიკის კოდექსი Code of Ethics

- ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შეტანა, გამოყენება, გავრცელება ან სხვისთვის გადაცემა, რომლებიც ხანძრის ან/და აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის) პუნქტებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას სასწავლებელის ადმინისტრაცია აღნიშნულ ფაქტს ატყობინებს პოლიციას და სტუდენტს ან მსმენელს ამლევს წერილობითი გაფრთხილებას;
- 10) ამ კოდექსის 8.2 (სხვა პირზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, მუქარა, დაშინება ან მორალური ზემოქმედება), (სხვა პირის დისკრიმინაცია) და (სტუდენტის საკუთრების ხელყოფა, დაზიანება ან განადგურება, ასევე, სხვა სტუდენტის საკუთრების უფლების რაიმე სახით შეზღუდვა, მათ შორის, ნივთის დაუფლება და ფაქტობრივი ფლობა მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, ნივთის მოტყუებით გამორთმევა ან გამოძალვა, ან ნივთის ზედის სხვაგვარი გადაწყვეტა) პუნქტებით გათვალისწინებული ქმედების განხორციელებისას ეთიკის საბჭო იღებს სტუდენტის, პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის წერილობითი გაფრთხილების გადაწყვეტილებას, რომელსაც გადასცემს სტუდენტთა, მსმენელთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილებას სტუდენტის ან მსმენელის შესახებ არსებულ აკადემიურ ჩანაწერებში (მსმენელის შემთხვევაში ჩანაწერის) რეგისტრაციის მიზნით.
- 11) ამ კოდექსის 8.2 (აკადემიური თაღლითობა), (იდენტობის გაყალბების საშუალებით, სხვა პირთან გარიგება გამოცდის ჩაბარების მიზნით), (სასწავლებლის მონაცემების (აკადემიური/ადმინისტრაციული) გაყალბება ან/და გამოყენება), (საგამოცდო მასალების, მათ შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება, გავრცელება, ჩაბარებული წერილობითი ნამუშევრის უნებართვოდ ჩანაცვლება, ასევე გამოცდის მიმდინარეობისას საგამოცდო დავალების ჩანაცვლება) პუნქტებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას სტუდენტს ან მსმენელს შესაბამის საგანში/სასწავლო კურსში ეწერება შეფასება F, ხოლო სასწავლებლის ეთიკის საბჭო იღებს სტუდენტის ან მსმენელის წერილობითი გაფრთხილების გადაწყვეტილებას, რომელსაც გადასცემს სასწავლებელის სტუდენტთა, მსმენელთა და თანამშრომელთა მომსახურების სტუდენტის ან მსმენელის შესახებ არსებულ აკადემიურ ჩანაწერებში (მსმენელის შესახებ ჩანაწერში) რეგისტრაციის მიზნით. იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში, ეთიკის საბჭო იღებს სტუდენტის ან მსმენელის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილებას. ეთიკის საბჭო უფლებამოსილია დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით მიიღოს სტუდენტის ან მსმენელის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება.
- 12) ამ კოდექსის 8.2 (პლაგიატი), (ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად გასაღება) პუნქტებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას სტუდენტს ან მსმენელს შესაბამის საგანში/სასწავლო კურსში ეწერება შეფასება F, ხოლო ეთიკის საბჭო იღებს სტუდენტის ან მსმენელის წერილობითი გაფრთხილების გადაწყვეტილებას, რომელსაც გადასცემს სასწავლებელის სტუდენტთა, მსმენელთა და თანამშრომელთა მომსახურების სტუდენტის ან მსმენელის შესახებ არსებულ აკადემიურ ჩანაწერებში (მსმენელის შესახებ ჩანაწერში) რეგისტრაციის მიზნით. იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში, ეთიკის საბჭო იღებს სტუდენტის ან მსმენელის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილებას. ეთიკის საბჭო უფლებამოსილია დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით მიიღოს სტუდენტის ან მსმენელის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება.
- 13) ამ კოდექსის 8.2 (სხვა სტუდენტისათვის ხელის შეშლა სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით; სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა) პუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას ეთიკის საბჭო იღებს სტუდენტის ან მსმენელის წერილობითი გაფრთხილების გადაწყვეტილებას, რომელსაც გადასცემს სასწავლებელის სტუდენტთა, მსმენელთა და თანამშრომელთა მომსახურების სტუდენტის ან მსმენელის შესახებ არსებულ აკადემიურ ჩანაწერებში (მსმენელის შესახებ ჩანაწერში) რეგისტრაციის მიზნით. იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში, ეთიკის საბჭო იღებს სტუდენტის ან მსმენელის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილებას. ეთიკის საბჭო უფლებამოსილია დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით მიიღოს სტუდენტის ან მსმენელის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი


ეთიკის კოდექსი Code of Ethics

- 14) ამ კოდექსის 8.2 (სხვა სტუდენტისათვის აკადემიური თაღლითობის ჩადენაში ხელის შეწყობა), (კვლევითი სამუშაოების მონაცემებისა და შედეგების გაყალბება), (ლექტორზე, გამომცდელზე, სასწავლებელის თანამშრომელზე ზეწოლა შეფასების მიღების მიზნით) პუნქტებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას ეთიკის საბჭო იღებს სტუდენტის ან მსმენელის წერილობითი გაფრთხილების გადაწყვეტილებას, რომელსაც გადასცემს სასწავლებელის სტუდენტთა, მსმენელთა და თანამშრომელთა მომსახურების სტუდენტის ან მსმენელის შესახებ არსებულ აკადემიურ ჩანაწერებში (მსმენელის შესახებ ჩანაწერში) რეგისტრაციის მიზნით. იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში, ეთიკის საბჭო იღებს სტუდენტის ან მსმენელის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილებას. ეთიკის საბჭო უფლებამოსილია დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით მიიღოს სტუდენტის ან მსმენელის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება. 8.1.5 პუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას ეთიკის საბჭომ შესაძლებელია მოიწვიოს საექსპერტო კომისია.
- 15) ამ კოდექსის 8.2 პუნქტით (სასწავლებელში წარსადგენი დოკუმენტის გაყალბება) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას სასწავლებელის ადმინისტრაცია ან შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო აუქმებს ასეთ დოკუმენტზე დაყრდნობით მიღებულ გადაწყვეტილებას, ეთიკის საბჭო იღებს სტუდენტის ან მსმენელის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილებას, ხოლო სასწავლებლის ადმინისტრაცია მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს დოკუმენტის გაყალბებასთან დაკავშირებული საკითხის შესწავლის მოთხოვნით.
- 16) პასუხისმგებლობის სახით ჯარიმის გამოყენების შემთხვევაში, სტუდენტი, პროფესიულის სტუდენტი ან მსმენელი ვალდებულია მისთვის ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში დაკისრებული ჯარიმის შესატყვისი თანხა გადარიცხოს სასწავლებელის საბანკო ანგარიშზე.

10. აკადემიური ეთიკის დარღვევა

სასწავლებლის საქმიანობაში (სასწავლო, მოსამზადებელ ან/და სამეცნიერო პროცესში) აკადემიური ეთიკის დარღვევის სახეობებია:

- 1) პლაგიატი, რაც გულისხმობს სხვის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის ან მისი ნაწილის, მათ შორის გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი /თეორიების, ცნებების, მონაცემთა წყარომასალების, სახელმძღვანელოების, მეთოდოლოგიების ან დასკვნების, გრაფიკების, გამოსახულებების და სხვა), როგორც საკუთარის წარმოდგენა და გამოყენება, ავტორის შესაბამისი მითითებისა და საჭიროების შემთხვევაში, ნებართვის გარეშე;
- 2) კომპილაცია, რაც გულისხმობს საავტორო უფლებით დაცული, სხვის მიერ მიღებული კვლევითი შედეგების, ნაშრომების გამოყენებას, დაჯგუფებას, წყაროების საკუთარი დამუშავების და ინტერპრეტაციის გარეშე ნაშრომის შექმნით;
- 3) ფაბრიკაცია/ფალსიფიკაცია, რაც გულისხმობს ნაშრომში მონაცემების ცვლილებას, მონაცემებით მანიპულირებას, მიღებული შედეგების შერჩევითად გამოყენებას, წყაროების, შედეგების ან მეთოდოლოგიის, გრაფიკებისა და გამოსახულებების ჩათვლით, შესაბამისი აღნიშვნის გარეშე - რაც იწვევს შედეგებისა და დასკვნების არასწორ ინტერპრეტაციას;
- 4) სამეცნიერო შედეგების განადგურება, რაც გულისხმობს საკუთარი ან სხვის მიერ მიღებული მონაცემების ან ჩანაწერების განადგურებას დამფინანსებლის ხელშეკრულების, სასწავლებლის სამართლებრივი აქტების, შიგა რეგულაციების და პროფესიული ან დისციპლინური სტანდარტების დარღვევის გამოვლინების თავიდან ასაცილებლად.
- 5) თვითპლაგიატი - საკუთარი ნაშრომის ან ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილის განმეორებით გამოყენება ორიგინალური წყაროს მიუთითებლად.
- 6) პერიფრაზირებული პლაგიატი - სხვისი მოსაზრებების პერიფრაზი ავტორის მითითების გარეშე.




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

ეთიკის კოდექსი Code of Ethics

- 7) მოზაიკური პლაგიატი - სხვადასხვა წყაროდან აღებული მოსაზრებების გაერთიანება ცალკეული ავტორების მითითების გარეშე.
- 8) ფალსიფიკაცია - მონაცემების, ინფორმაციის ან ციტატების გაყალბება აკადემიურ ნაშრომში. დასესხება - საკუთარ ტექსტში სხვა ავტორის ორიგინალური ტექსტის ნაწილების სახეუცვლელად გადმოტანა.
- 9) კორექტული ციტირება - სხვისი ტექსტიდან ამონარიდის ჩართვა ავტორისა და ნაშრომის დასახელების მითითებით, ციტირებისთვის გამართლებული მოცულობით.
- 10) არაკორექტული ციტირება - სხვისი ტექსტიდან ამონარიდის ჩართვა ავტორისა და ნაშრომის დასახელების მიუთითებლად და/ან ციტირებისთვის გაუმართლებელი მოცულობით.
- 11) ტექსტის ორიგინალობა - უნიკალური ელემენტების (სიტყვების, ფრაზების) რაოდენობის
- 12) თანაფარდობა ტექსტის ყველა ელემენტთან.
- 13) ანტიპლაგიატი/პლაგიატის დეტექციის პროგრამა - დოკუმენტების შემოწმების საინფორმაციო სისტემა უკვე გამოქვეყნებული წყაროების არამართებულად დასესხებაზე.

11. პლაგიატის აღმოჩენა

- 1) პლაგიატის აღმოჩენის ძირითადი მექანიზმებია ლექტორის, ნაშრომის ხელმძღვანელის, რეცენზენტის დასკვნა და პლაგიატის დეტექციის ელექტრონული პროგრამა.
- 2) ბუსსს ანრი-ში პლაგიატზე სავალდებულო შემოწმებას ექვემდებარება ბუსსს ანრი-ში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები/ნაშრომები. პლაგიატის შემთხვევის შესახებ ეჭვის შემთხვევაში, პლაგიატის დეტექციის პროგრამაზე შეიძლება შეფასდეს ნებისმიერი წერილობითი ნაშრომი.
- 3) ნაშრომის შემოწმება ხორციელდება მას შემდეგ, რაც ავტორი წარმოადგენს ნაშრომს და განაცხადს იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ნაშრომი არ შეიცავს პლაგიატის ელემენტებს, ორიგინალურია, სხვა ავტორთა მოსაზრებები მითითებულია დადგენილი წესით, კვლევის მეთოდების გამოყენებისას დაცულია ეთიკის ნორმები.
- 4) ავტორი ბუსსს ანრი-ში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის/ნაშრომის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიას განცხადების თანხლებით აბარებს კვლევის ცენტრს.
- 5) კვლევითი ცენტრი ორგანიზებას უწევს ნაშრომის შემოწმებას დასესხებული მასალების შემცველობაზე ანტიპლაგიატის სისტემის გამოყენებით (2019 წლის 23 მაისის ხელშეკრულება შპს Plagiat.pl Sp z o.-სთან) და ავტორს, ასევე ნაშრომის ხელმძღვანელს (სტუდენტის შემთხვევაში) გადასცემს შემოწმების ოქმს.
- 6) ერთი და იმავე ნაშრომის შემოწმება პლაგიატის არსებობაზე ხორციელდება არაუმეტეს ორჯერ.
- 7) ბუსსს ანრი-ში შესრულებულ სამეცნიერო-კვლევით პროექტებზე/ნაშრომებზე შემოწმებისათვის დადგენილია არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადა;
- 8) პლაგიატის დეტექციის პროგრამით შემოწმებისთვის ნაშრომები ბარდება ელექტრონული სახით doc, docx ფორმატით, რის შესახებაც გაიცემა ცნობა ჩაბარების თარიღის მითითებით.
- 9) ნაშრომის პლაგიატის დეტექციის პროგრამაზე შეფასებასთან ერთად, მსგავსების არსებობისას, შეფასების შედეგები ექვემდებარება შინაარსობრივ გადახედვას. პლაგიატის დეტექციის პროგრამის შეფასების შედეგებს პირველ ეტაპზე განიხილავს - სტუდენტის შემთხვევაში ნაშრომის ხელმძღვანელი/ლექტორი; აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - კვლევითი ცენტრი.
- 10) თუკი ნაშრომში აღმოჩენილი მსგავსების წილი აჭარბებს 12%-ს, ასევე თუ თუკი პლაგიატის დეტექციის პროგრამით აღმოჩენილი მსგავსება ნაშრომის ხელმძღვანელის/კვლევითი ცენტრის შეფასებით ატარებს პლაგიატის ნიშნებს, შემთხვევა სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელის/ლექტორის ან კვლევითი ცენტრის მიერ შესასწავლად გადაეცემა ეთიკის საბჭოს. ეთიკის საბჭო კონფიდენციალურად შეისწავლის საკითხს და პლაგიატის შესახებ ეჭვის



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**


**ეთიკის კოდექსი
Code of Ethics**

საფუძვლიანობის დადასტურების შემთხვევაში ნაშრომის შესაფასებლად იქმნება ექსპერტთა კომისია.

- 11) ნაშრომში პლაგიატის ნიშნების აღმოჩენისას, უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღება მის გამოქვეყნებაზე/კონფერენციაზე წარდგენაზე თუ სხვა მსვლელობაზე, შემთხვევის შესწავლის დასრულებამდე.
- 12) ნაშრომი, რომელმაც გაიარა შემოწმება პლაგიატის დეტექციის სისტემით და მიიღო უარყოფითი შეფასება (პლაგიატის დეტექციის პროგრამამ აჩვენა მსგავსების მაჩვენებელი), თუმცა ნაშრომის ხელმძღვანელის/კვლევითი ცენტრის შეფასებით არ ატარებს პლაგიატის ნიშნებს, შეიძლება ხელახლა გადამუშავდეს ავტორის მიერ არაუმეტეს ერთი თვის ვადაში. ნაშრომის ხელმძღვანელი/კვლევითი ცენტრი წერს დასკვნას ნაშრომის აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, ნაშრომში შემდეგ ეტაპებზე პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა ასევე ეკისრება ხელმძღვანელს/კვლევით ცენტრს.
- 13) თუ განმეორებითი შემოწმებისას შეფასება კვლავ უარყოფითია, ნაშრომს შეისწავლის კომისია, პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში ნაშრომი უქმდება, ავტორის მიმართ კი იწყება დისციპლინური დევნა.
- 14) ფაკულტეტი, ნაშრომში პლაგიატის ნიშნების აღმოჩენისას გამოყოფს კომისიას ნაშრომის ექსპერტული შემოწმებისთვის პლაგიატის არსებობაზე. კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს რექტორი. ექსპერტთა კომისია მუშაობს სასწავლებლის ეთიკის საბჭოს ქუდქვეშ. ექსპერტთა კომისია დასკვნას გადასცემს ეთიკის საბჭოს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ავტორის მიმართ სანქციის გამოყენების შესახებ.
- 15) პლაგიატის დეტექციის სისტემით შემოწმების ოქმი, ასევე ექსპერტთა დასკვნები (საექსპერტო შემოწმების შემთხვევაში), სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა ინახება ბუსსს ანრი-ში შესრულებულ სამეცნიერო-კვლევით პროექტთან/ნაშრომთან ერთად.
- 16) ბუსსს ანრი-ში შესრულებულ სამეცნიერო-კვლევით პროექტში/ნაშრომში არ შეიძლება პლაგიატად ჩაითვალოს დაწესებულებების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ნორმატიული სამართლებრივი აქტების დასახელებები, კანონიდან ამონარიდი; გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი; მყარი სიტყვათმეთაზნებები, დარგობრივი ტერმინები, ტექსტის კორექტული ციტირება, დოკუმენტებიდან ამონარიდი მათი გაანალიზების მიზნით, თვითციტირება და სხვ.

12. პასუხისმგებლობა აკადემიური ეთიკის დარღვევისათვის


- 1) ბუსსს ანრის ეთიკის კოდექსის დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის, სასწავლებლის შინაგანაწესისა და ხელშეკრულების შესაბამისად.
- 2) დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდების შესახებ საკითხის აღძვრის უფლება აქვს სასწავლებლის ნებისმიერ პერსონალსა და სტუდენტს/მსმენელს.
- 3) ეთიკის კოდექსის დარღვევაზე რეაგირების მიზნით გენერალური დირექტორის ბრძანებით 3 წლის ვადით იქმნება ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისია (ეთიკის საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:
 - ✓ ხარისხის სამსახური უფროსი (მუდმივმოქმედი)
 - ✓ დეკანი (მუდმივმოქმედი)
 - ✓ სტუდენტებთან ურთიერთობის მენეჯერი (მუდმივმოქმედი)
 - ✓ კვლევითი ცენტრის წარმომადგენელი, (მუდმივმოქმედი)
 - ✓ იურიდიული განყოფილების უფროსი (მუდმივმოქმედი)
 - ✓ აკადემიური პერსონალი (ფაკულტეტის წარდგინებით),
 - ✓ სტუდენტული თვითმმართველობის წევრი (თვითმმართველობის წარდგინებით)
- 4) კომისია საქმიანობას წარმართავს წინამდებარე კოდექსით და სასწავლებლის შინაგანაწესით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი


ეთიკის კოდექსი Code of Ethics

- 5) ამ კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის გამო დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს ეთიკის საბჭო.
- 6) თუ კომისიის დასკვნის საფუძველზე დადასტურდა პლაგიატის ფაქტი, მაშინ ამის შესახებ ეცნობება მოთხოვნის დამრღვევ პირს, ასევე საქმესთან დაკავშირებულ სხვა პირებს (კვლევითი პროექტის სპონსორს, პროექტზე მომუშავე ჯგუფის სხვა წევრებს და ა.შ.).
- 7) იმ შემთხვევაში, თუ დარღვევის ფაქტი არ დადასტურდება, სასწავლებელი ვალდებულია ამოქმედებს ყველა მის ხელთ არსებულ მექანიზმი პირის რეპუტაციის აღსადგენად.
- 8) პერსონალის მიმართ პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, ნაშრომის გაუქმებასთან ერთად, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, შეიძლება განისაზღვროს შემდეგი დისციპლინური სანქციები:
 - ა) მიეცეს გაფრთხილება, ავტორის ყველა სტატია გამოწვეულ იქნას და შემოწმდეს პლაგიატის ან ფალსიფიკაციის თვალსაზრისით;
 - ბ) დაწესდეს სპეციალური მონიტორინგი მომავალ საქმიანობაზე;
 - გ) გათავისუფლდეს აკადემიური თანამდებობიდან.
- 9) დისციპლინური წარმოების განხორციელებისას პერსონალს, სტუდენტს ან მსმენელს უფლება აქვს:
 - ა) წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;
 - ბ) დაესწროს მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას, ისარგებლოს დაცვის უფლებით;
 - გ) მიაწოდოს ეთიკის საბჭოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;
 - დ) მონაწილეობა მიიღოს ეთიკის საბჭოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;
 - ე) მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯაროდ და განსაზღვროს პირები, რომელთა სხდომაზე მონაწილეობა მიაჩნია მართებულად.
 - ვ). სასამართლოში გაასაჩივროს სასწავლებლის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.
- 10) ეთიკის საბჭო უფლებამოსილია:
 - ა) მოსთხოვოს პერსონალს, სტუდენტს, პროფესიულის სტუდენტს, ან მსმენელს საკუთარი მოქმედების ზეპირი ან/და წერილობითი აღწერა და განმარტება;
 - ბ) მრავალმხრივ და სრულყოფილად გამოიკვიოს წარდგენილი ინფორმაცია, მტკიცებულებები, გარემოებები;
 - გ) ამ კოდექსით გათვალისწინებული დარღვევისათვის პერსონალს, სტუდენტს, პროფესიულის სტუდენტს, ან მსმენელს შეუფარდოს შესაბამისი პასუხისმგებლობის სახე და ზომა.
- 11) დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილებას ხელს აწერს სასწავლებლის გენერალური დირექტორი, რომელიც უფლებამოსილია არ დაეთანხმოს ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილებას და უკან დაუბრუნოს საკითხი განსახილველად.
- 12) დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს სასწავლებელს. დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს კანონმდებლობით და სასწავლებლის ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს.
- 13) ამ კოდექსში აღნიშნული შემთხვევების გარდა, სასწავლებლის ეთიკის საბჭო უფლებამოსილია განიხილოს და პერსონალს, სტუდენტს, პროფესიულის სტუდენტს, ან მსმენელს დააკისროს ამ კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ზომა, ისეთი ქმედების ჩადენის შემთხვევაში, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დასჯად ქმედებას განეკუთვნება.



13. კონფიდენციალურობა

ეთიკის კოდექსი წარმოადგენს ბუსსს ანრის შიდა ნორმატიულ დოკუმენტს და არ ექვემდებარება მესამე მხარისთვის წარდგენას, გარდა აუდიტორებისა შიდა, გარე და ინსპექციური შემოწმების დროს.




**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

*ეთიკის კოდექსი
Code of Ethics*

15. გაცნობის ფურცელი

	სახელი, გავრი	თანამდებობა	გაცნობის ვადა	გაცნობის თარიღი	ხელმოწერა
1	ლია ფარტენაძე	სასწავლო განყოფილების ხმს სპეციალისტი	05.04.2019	28.03.2019	
2	ნუნუ მიქელაძე	სასწავლო განყოფილების საქმისმწარმოებელი	05.04.2019	28.03.2019	
3	მზია დუმბაძე	ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ინსპექტორი/არქივარიუსი	05.04.2019	28.03.2019	
4	ვლადიმერ ბოგდანოვი	წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი	05.04.2019	28.03.2019	
5	ხატია მენაბდე	წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის საქმისმწარმოებელი	05.04.2019	28.03.2019	
6	ზადრი დოღონაძე	რექტორის მოადგილე კულტურულ მასობრივ დარგში	05.04.2019	28.03.2019	
7	მერაბ კვაჭაძე	შინაგანწესისა და ვახტის უზრუნველყოფის უფროსი	05.04.2019	28.03.2019	
8	ჟუჟუნა დიასამიძე	ბიბლიოთეკარი	05.04.2019	28.03.2019	
9	მალვინა ურუშაძე	ბიბლიოთეკის გამგე	05.04.2019	28.03.2019	
10	ირაკლი გოგიტიძე	სამეურნეო დარგის მენეჯერი	05.04.2019	28.03.2019	
11	ილიას ბერიძე	ს/გ „კაპ. ო.ჩახვაძე“ კაპიტნის მოვალეობის შემსრულებელი	05.04.2019	28.03.2019	
12	ზადრი გიორგაძე	ს/გ „კაპ. ო.ჩახვაძე“ უფროსი მექანიკოსი	05.04.2019	28.03.2019	
13	ირაკლი ბეჟინიძე	IT ოპერატორი	05.04.2019	28.03.2019	
14	ლალი ბერმენიშვილი	პიარ-მენეჯერი	05.04.2019	28.03.2019	
15	თამთა ჩხეიძე	საქმისმწარმოების, მიმოწერის და ადამიანი რესურსების მართვის განყოფილების უფროსი	05.04.2019	28.03.2019	
16	სოფიკო მამულაძე	მთ.ბუღალტერი	05.04.2019	28.03.2019	
17	ფირუზა ვარშანიძე	პედაგოგი	05.04.2019	01.04.2019	
18	თემურ დევაძე	პედაგოგი	05.04.2019	01.04.2019	
19	ლავრენტი სეიდიშვილი	პედაგოგი	05.04.2019	01.04.2019	
20	ზადრი გიორგაძე	პედაგოგი	05.04.2019	01.04.2019	
21	აკაკი ესენჯია	პედაგოგი	05.04.2019	01.04.2019	
22	მირანდა ჭინკაძე	პედაგოგი	05.04.2019	01.04.2019	
23	ია მოწყობილი	პედაგოგი	05.04.2019	01.04.2019	



ეთიკის კოდექსი
 Code of Ethics

16. შეთანხმების ფურცელი

ნაწილი 1. დოკუმენტის იდენტიფიკაცია, შემთანხმებელი პირი

1.1 შესათანხმებელი დოკუმენტის დასახელება,

ეთიკის კოდექსი
 Code of Ethics

ნდ 2-010118

1.2 შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი:
 იურისტი გიორგი დიასამიძე

1.3 შემსრულებელი _____ \ _____ \

ნაწილი 2. შეთანხმება

	შემთანხმებლის თანამდებობა	ხელმოწერა	შეთანხმების რიცხვი	შეთანხმების დრო	შენიშვნა
1	რექტორი რუსლან დიასამიძე				
2	ხმს მენეჯერი რუსუდან დიასამიძე				
3	სასწავლო განყოფილების უფროსი გურამ ქათამაძე				

დოკუმენტი შესათანხმებლად წარადგინა _____
 ხელმოწერა გვარი, სახელი თარიღი